1947

ოქტომბერი

1947

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 3
მარტი
1947

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
„Октомбрели" ежемесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

წელიწადი მეოთხე

გამომცემლობა
„კომუნისტი"

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხული

ალარც ქარი, ალარც სუსხი,
ალარც თოვლის ნარჩენია,
ტყემლის ყვავილს ფიფქი სცვივა,
ატმებს ცეცხლი გასჩენია.

ცის ლაჟვარდში ტოროლები,
აივანზე მერცხლებია,
გამოსულან პატარები,
მათი ცქერით ვერ ძღებიან.

აკვირდება, უკვირს ჩინოს,
თუმცა სხვებზე დინჯი კია:
ეს, ტოლები ეძახიან,
თუ ჩიტების ჭიკჭიკია?

სტვენს ბულბული,
შაშვი გალობს,
ბინად ტყე აქვთ არჩეული,
მიწას მოლი მოჰფენია,
ტყეებს — მწვანე ფარჩეული.

ალარც ქარი, ალარც სუსხი,
ალარც თოვლის ნარჩენია,
ტყემლის ყვავილს ფიფქი სცვივა,
ატმებს ცეცხლი გასჩენია!

გრიგოლ აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

4353

დ ე დ ა

ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია,
როცა ძვირფას დედას ვხედავ,
მუდამ ჩემთვის ზრუნავს, მუდამ,
საყვარელი ჩემი დედა.

ის დღედაღამ ჩემზე ფიქრობს—
თავს მევლება, მიალერსებს,
ანი-ბანი მან მასწავლა,
და მიკითხავს ახლა ლექსებს.

სულ მარიგებს, სწავლას მირჩევს—
მე კი მუდამ ვეფერები.
მას დიდ ამაგს დავუფასებ,
როცა დიდი გავიზრდები.

ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია,
როცა ძვირფას დედას ვხედავ,
მუდამ ჩემთვის ზრუნავს, მუდამ,
საყვარელი ჩემი დედა.

რევაზ მარგიანი
ნახატი რ. სტურუასი

ბ. ბერეზის სახ. ბიბ. საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ბერდია

ბოუხროგბა

პატარა ბერდია კახელი ბიჭია. ის თავის სოფელ ახმეტას არ გაშორებია. მას თბილისიც გაუგონია, ხოლო თუ შეეკითხებიან: სად არისო,

— შორს. — სიშორის გამოსახატავად ასე გააგრძელებს სიტყვას.

ბერდიას მამა მთელ წელიწადში ორჯერ თუ წავა თბილისში, მაგრამ როცა დაბრუნდება თავის ბიჭიკოს მოუტანს ხოლმე ახალ ტანისამოსსა და სათამაშოებს. შარშან ნაშემოდგომევს რომ წავიდა თბილისში, ბერდია სულ თამაშობდა, ხოლო ერთხელ გადაწყვიტა:

— რა კი მამა თბილისშია და დედაც სადღაც საქმეზეა წასული, მეც გზაზე გავალ, იქნებ ვინმემ მანქანაში ჩამისვასო. — და მაშინვე სოფლის ფართო გზატკეცილზე გამოცუნცულდა, დადგა ცალ კიდეზე, წამდაუწუმ აღმა-დაღმა იხედება, მანქანას შორსწამსვლელივით დაელოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სწორედ ბერდიას წინ გაჩერდა გრძელი და მსხვილი ხის მორებით დატვირთული მანქანა. ბერდია შოფრის პირდაპირ დადგა, სულ შოფერს უცქეროდა, ორჯერ-სამჯერ გააღო პირი, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერც ბედავდა. შოფერი მიუხვდა:

— ბიჭიკო, რა გინდა?

— არაფერი, — უპასუხა ბერდიამ და მანქანას შეხედა.

— მაშ, რატომ მიცქერ?

— ძია, შორს მიდიხარ? — ბერდიამ კითხვას კითხვით უპასუხა.

— აქვე, ამ ხე-ტყის ქარხანაში, — ღიმილით უთხრა შოფერმა.

— ძია, დამსვი მანქანაზე.

შოფერმაც პატარა ბიჭი იმ წამსვე გვერდით მოისვა. მანქანა აგუგუნდა, უცებ ქარხანასთან მიქროლდა. ბერდია ჩამოხტა. იგი ჯერ ხეების ჩამოყრით გაერთო, მერე სამხერხაოსაკენ გაექანა, მიირბინ-მოირბინა და ბოლოს იქ გაჩერდა, სადაც ერთად დაზვინული ნახერხი ეყარა. ესეც ბერდიას სიხარული, ჩახტა შიგ და დიდხანს იტრიალა ყირამალა: ნახერხში გორაობით გულმოჯერებულმა ბერდიამ შინისაკენ მოკურცხლა. იგი ეზოში ფრთხილად შევიდა, დედის ეშინოდა, გამიჯავრდებაო. ამ ფიქრში რომ იყო, უცებ მოესმა:

— ბერდია!

მან მამის ხმა იცნო, გაიხედა იქით, საიდანაც ძახილი მოესმა. მამას სავსე, ჭრელი ხურჯინი ეკიდა. ბერდია მამასთან მიცუნცულდა.

— მამილო, რა მომიტანე? — შეეკითხა მაშინვე.

— ისეთი რამ, რაც აქ არავის ექნება.

— მომეცი, ვნახო, მომეცი!—აღარ ეშვება ბერდია.

მამამ სახლში შესვლისთანავე ხურჯინიდან გრძელი სათამაშო მატარებელი ამოიღო. ლურჯ ორთქლმავალს რამდენიმე წითელი ვაგონი ჰქონდა მობმული.

— ხომ კარგია?—შეეკითხა მამა.

— უჰ, რამდენი მანქანებია. — ყვიროდა გახარებული ბერდია.—ჩვენს სოფელში რატომ არ დადის ასეთი მანქანები?

— ეს მანქანა კი არა, მატარებელია.— უთხრა მამამ.

— მერე ახმეტაში რატომ არ დაიარება?

— აქ რკინიგზა არაა.

— არ გააკეთებენ?

— გააკეთებენ.

ბერდიამ სათამაშო მატარებელს დროებით თავი მიანება და მამის ნათქვამით დაინტერესდა.

— როდის?—კვლავ შეეკითხა მამას.

— მალე იქნება. ჩვენი სოფლის ხე-ტყის ქარხნიდან, ორიოდე წელში რკინიგზას გაიყვანენ იქამდე, აი შორს ტყე რომ მოსჩანს. ახლა თუ ხეებს მანქანებითა და ურმებით ვეზიდებით, მერე მატარებელი მოიტანს, მაშინ ჩვენს ქარხანაში დამზადებული მასალა მთელ საქართველოში გაიგზავნება.

— მამა, ვინ გითხრა? საიდან გაიგე?

— ეს კანონია, მეოთხე ხუთწლიან გეგმაშია ჩაწერილი.

ბერდიამ სიხარულით ხტუნვა დაიწყო, თან იძახდა:

— რა კარგი იქნება, რა კარგი იქნებაო.— სათამაშო მატარებელს ძაფი გამოაბა და ოთახში გაატარა.

ლავრენტი ჭიჭინაძე

ნახატი შ. ცხადაძისა

ამობიბინდა ბალახი...

გორებზე თოვლი ჩამოდნა,
ხევში ადიდდა წყალი,
ქორჩიოტამ და ენძელამ
გამოახილეს თვალი.

ამობიბინდა ბალახი,
ხემაც გაშალა კვირტი,
დაბრუნდა უცხო ქვეყნიდან
ბაწაწკინტელა ჩიტი.

სოფლად გამართეს გუთანი,
ბელტზე გადაწვა ბელტი,
გუგულიც ასე იძახის
— მეტი დახანით, მეტი!

შოშიაც ბუდეს იშენებს
და რომ მორჩება საქმეს,
ხის კენწეროზე შემჯდარი
გალობს,—ბეჯითებს აქებს.

ზურაბ ჭუმბურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ლია სცენაზე

პატარა ლია მიქაშავიძეს

ლია ერთი ციცქნაა,
მკვირცხლი, ცელქი, ენამზე,
მუდამ ამას იძახის:
— გამიშვითო სცენაზე.

რეჟისორთან მივიდა,
თავი მაღლა ასწია:
— ძია, გენაცვალები,
როლი მომეც პაწია!

რეჟისორი იცინის,
მთელი დასი იცინის:
— რომ ატირდე, გოგონი,
ხომ დავიწვით სირცხვილით?!

ცუგრუმელა ლიანა
ჰფიცავს თავის დედილოს,
თითქოს ხალხში კი არა,
სახლშიც აღარ ეტიროს.

ჰო და გასჭრა ამ ფიცმა,
აუსრულეს, რაც სურდა,
(მამას ყველა უამბო
პაწაწინა ასულმა...)

გაიარა ვარჯიში
თამამად და მკვირცხლადა,
რეჟისორის რჩევასა
ლია ზუსტად იცავდა.
წარმოდგენაც დაიწყო!
აჰა, ნახეთ ლიანა,
თქვენ გგონიათ ატირდა
ჩვენი გოგო ცქრიალა?!
როცა ნორჩი არტისტი
ხელებს ნაზად გაშლიდა,
ხალხით სავსე დარბაზი
გუგუნებდა ტაშითა.
ფარდაც მალე დაეშვა,
ლიას შუბლზე კოცნიან,
სწორედ მისალოცია,
სწორედ მისალოცია!
... ლია ერთი ციცქნაა,
ცელქი, მკვირცხლი, ენამზე,
ახლაც ამას იძახის:
გამიშვითო სცენაზე.

ხუბა ბერულავა

ნახ. გ. გულისაშვილისა

გრიგოლ ცეცხლაძე

(ლ. კვიტკოდან)

გოჭები

— ჩვენი რაზმი, ანა ბებო,
აქ მოვიდა საგანგებოდ.
ჩვენ გვინდა გოჭების ნახვა,
აგვისრულეთ ეს განზრახვა!

— წადით, წადით, პატარებო,
ჯერ გოჭუნებს ვერ განახვებთ;
ახლა უნდა ვაბანაოთ,
მერე მოდით, დაგიძახებთ.

— ანა ბებო, ჩვენ მოვედით,
რომ გოჭები ვნახოთ ჩქარა,
გვსურს გავსინჯოთ: პაწაწინებს
ჯერ ჯაგარი აქვთ თუ არა?

— წადით, წადით, პატარებო,
არ სცალიათ, ვერ განახვებთ,
ახლა მათი კვების დროა,
მერე მოდით, დაგიძახებთ!

— ანა ბებო, ჩვენ მოვედით,
რომ გოჭები ვნახოთ ჩქარა,
გვსურს გავიგოთ: მათ კუდები
აპრეხილი აქვთ თუ არა?

— წადით, წადით, პატარებო,
ჯერ გოჭუნებს ვერ განახვებთ,
ახლა მათი ძილის დროა,
მერე მოდით, დაგიძახებთ.

— ჩვენი რაზმი, ანა ბებო,
აქ მოვიდა საგანგებოდ.
ჩვენ გვინდა გოჭების ნახვა,
აგვისრულეთ ეს განზრახვა!

— წადით, წადით, პატარებო,
და თქვენ მოდით ხვალე დილით.
ახლა უკვე საღამოა,
გოჭებს სძინავთ ტკბილი ძილით.

ნახატი. ფ. ლაპიაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრები

გაზაფხულდა. მზემ გამოაშუქა, დედამიწას გაუცინა და გაათბო, ქალი და კაცი სამუშაოდ გამოვიდა მინდვრებში, ზვარში, ბოსტანში, სახლში მხოლოდ ბებერი, თეთრწვერა პაპა და პატარა ბავშვები დარჩნენ.

მზემ პაპაც გამოიყვანა გარეთ. პაპამ სახლის გვერდით მზეზე მოიკალათა და პატარ-პატარა ფიცრების გამოჭრას შეუდგა.

— რას აკეთებ პაპა?—ჰკითხეს შვილიშვილებმა.

— მეგობრებს სახლს ვუშენებ,—მიუგო პაპამ.

პაწია ფიცრებისაგან პაპამ მართლა ააშენა სახლი, სახურავიც გაუკეთა და ერთ პატარა კედელში პატარა მრგვალი კარიც გამოსჭრა. შემდეგ სახლი გრძელ ჭოლოკს მიაჭედა.

— რა პატარა სახლია, პაპა. განა შენი მეგობრები ასეთი პატარებია, რომ ამ სახლში მოთავსდნენ და ამ კარში შეეტიონ?—უკვირდათ ბავშვებს.

— რასაკვირველია მოთავსდებიან, რასაკვირველია შეეტევიან. ცოტა დაიცადეთ და თქვენ თვითონ ნახავთ!

პაპამ მაღალი ჭოლოკი თავის სახლის ახლო მიწაში ჩაასო და პატარა კოხტა სახლი მაღლა ჭოლოკის წვერზე წამოჭიმა.

ბავშვები ყოველ დილით გამოდიოდნენ ეზოში და მოუთმენლად მოელოდნენ პაპას მეგობრებს.

მზის სხივებმა ნუშის და ტყემლის ხეებიც გააცინა და ყვავილებით მოკაზმა. ბალახი მწვანედ ააბიბინა. კოლმეურნეობის მინდვრებში ტრაქტორები ააგუგუნა,—მწყემსის სალამური ააწკრიალა...

ერთ დილას, როდესაც ბავშვები გამოცვივდნენ სახლიდან, დაინახეს პაპას სახლზე ორი შავი ჩიტუნა იჯდა და მხიარულად ყღურტულებდა.

— პაპა, გამოვიცანით რომ შენი მეგობრები შოშიები ყოფილან!—ყვიროდნენ გახარებული ბავშვები.

პაპაც დაჯდა თავის სახლის გვერდით მზეზე და გაცინებული შესცქეროდა შოშიებს, უხაროდა რომ ჩიტუნებს მისი გაკეთებული სახლი მოეწონათ.

ნინო ნაკაშიძე

სკოლის გზაზე

ალაგ ამწვანებულა,
ალაგ—ისევ თოვლია.
გზისპირს დაბრძანებულა
პაწაწინა თოლია,
თოლია კი არ არის,
გაზაფხულის თვალია:
თეთრი გულისპირი აქვს—
რა ფაქიზი ქალია!

სკოლისაკენ ჩავლილებს,
ხვალ-ზეგ მისი სწორებიც—
პაწაწა ენძელები,
კოპწია გოგონები,
ხელებს გამოგვიწვდიან,
ერთი ნატვრის მქონენი:
მასწავლებლის მაგიდა
მოვრთოთ მათი კონებით.

მაყვალა მრევლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიშ, მერცხალი მოფრენილა

გაზაფხულო, არე-მარეს
შენ ჩააცვი ჩითები,
ნაკადული მონარნარებს,
ჭიკჭიკებენ ჩიტები.

ვიშ, მერცხალი მოფრენილა
ჟღურტულა და ფრთამალი,
სათამაშოდ გამოსულან
გოგი, ნუკრი, თამარი.

მინდორ-ველი აბიბინდა,
შეიფოთლენ ბაღები
და კუდრაჭა მერცხლებივით
აჟღურტულდნენ ბალღები.

ჯ. გოგიაშვილი

ნახატი ვ. ჯაფარიძისა

საქართველოს ახალ

ბავშვებმა გორაკზე აირბინეს.

მათ თვალწინ საუცხოო სანახაობა გადაიშალა.

— მამიკო, მამიკო... შეხედე, აქ ზღვა ყოფილა!

წამოიძახა ენატიტინა, ქერათმიანმა თინიკომ და დინჯი ნაბიჯით გორაკზე ამომავალ მამას გახედა.

შავთვალწარბა ვანომ დაიკოს წინ გაუსწრო და გაუსწორა:

— ეს ზღვა კი არა, ტბაა!..

— არა, ზღვაა!.. ტბა რა არი?.. შარშან ზღვაზე ხომ ვიყავით, არ გახსოვს, ზღვა ხომ გინახავს?..

— ბავშვებო, ჩაერია მათს საუბარში გორაკზე ამოსული მამა... ეს არც ზღვაა, არც ტბა; ეს ხელოვნური წყალსაცავია. აქ უზარმაზარი ელექტროსადგური შენდება. დასხედით, გიამბობთ...

ბავშვები მწვანე მოლზე ჩამოსხდნენ და მამას ყურადღებით მიაცქერდნენ. მამაც ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ განაგრძო:

— გახსოვთ, შარშან მატარებლით თბილისს რომ ვუახლოვდებოდით, იქ სადაც ლენინის დიდი ძეგლი დგას, მე დაგანახვეთ ერთ ადგილას შეგუბებული მდინარე მტკვარი...

...ჰო... ჰო, წამოიძახა თინიკომ, მომაგონდა, მომაგონდა!

— მაშინ მე აგიხსენით, რომ თბილისი ელექტრონის სინათლეს ზაჰესიდან იღებს... ზაჰესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელექტროსადგურია...

— რიონჰესი?..

მცოდნე კაცის კილოთი შეეკითხა ვანო.

— დიახ, რიონჰესიც... გარდა ზაჰესისა და რიონჰესისა, ჩვენ ბევრი სხვა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუქურა—ხრამჰესი

ელექტრო-სადგურიც გვაქვს, მაგრამ მათი ენერგია აღარ ჰყოფნის საქართველოს გაზრდილ მოთხოვნილებებს, ამიტომ ჩვენმა მთავრობამ ახალ ხუთწლიან გეგმაში მიზნად დაისახა, ააშენოს ისეთი დიდი ელექტროსადგური, რომელიც ყველა საჭიროებას დააკმაყოფილებს.

— მაშინ საქართველოს ღამე დღესავით ნათელი იქნება, არა? აღტაცებით წამოიძახა თინიკომ.

— რა თქმა უნდა!

დაეთანხმა მამა და თავისი მოთხრობა ასე განაგრძო:

— გარდა ქალაქებისა და სოფლების გაშუქებისა, ხრამჰესი სინათლეს და ძალას მიაწვდის ქარხნებს, მაღაროებს, რკინიგზასა და იმ ახალ წარმოებებს, რომლებიც მეოთხე სტალინურ ხუთწლედში შეიქმნება. ხრამჰესი ახალ საქართველოს შუქურად აინთება.

— რა კარგია, მამიკო, ელექტროსადგური რომ ამუშავდება, უსათუოდ ამოგვიყვანე, ჩვენც ვნახოთ!

შეეხვეწა ვანო. თინამ კი გაიღიმა და ტიტინით თქვა:

— მე დიდ ქაღალდზე ფერადებით დავხატავ ხრამჰესს და ძია სტალინს საჩუქრად გავუგზავნი!

მამამ გაიცინა და პატარა მეოცნებეებს სიყვარულით გადახედა.

გ. შაგბერაშვილი

ნახატი **ი. კალაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღ ი ღ ი თ

ნინომ თვალი გაახილა,
გაეხარდა, რომ არ წვიმდა,
მზიანი დღით მოხიბლული
საწოლიდან წამოფრინდა.

დატრიალდა, აჟღურტულდა,
მონავარდე ჩიტად იქცა,
წყაროს წყალი მოიტანა,
დაიბანა პირი მკვირცხლად.

ჩუმად სარკეს გაუღიმა,
მოიღერა კოხტად ყელი,
ისაუზმა და ხალისით
წამოავლო წიგნებს ხელი,

სკოლისაკენ გაეშურა
პაწაწინა მკვირცხლი ქალი,
და სარკმლიდან აღტაცებით
გააყოლა დედამ თვალი.

საქათმეში წიწილებმა
თითქოს იგრძნეს ნინოს წასვლა.
მათაც გავლა მოენატრათ,
მოესურვათ ფრთების გაშლა.

სეირნობის მოყვარულმა
კრუხმაც აღარ დააყოვნა
დაფაცურდა და შვილები
სასეირნოდ გაიყოლა.

მოლზე ცელქი წიწილები
მამალმა რომ დაინახა,
სიხარულით ფრთა ფრთას დაჰკრა
და ყიყლიყო შემოსძახა.

გიორგი ქაჯახიძე

ნახატი **ნ. ბადურაშვილისა**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დალის მამალი

მოთხრობა

დალიმ და გიამ კაკანათი დააგეს. დასხდნენ აივანზე. პატარა და-ძმას, ჰგონია, რომ საცაა ჩიტები ჩამოფრინდებიან ხეებიდან და კაკანათში გაებმებიანო, მაგრამ ჩიტები არ ტყუვდებიან; ეტყობა, ხეებზე საკვებს შოულობენ.

— ეჰ, რა მალე ღამდება, — ამბობს დალი, — ზაფხულში კი რა დიდი დღეები იყო.

— ჰო, დიდი დღეები იყო. — უმოწმებს გია.

— რა კარგი იქნება, რომ დიდხანს არ დაღამდებოდეს, ბევრ ჩიტებს დავიჭერდით! გია, რატომ არის ზამთარში პატარა დღეები?

— არ ვიცი.

— როგორ არ იცი, შენ სკოლაში სწავლობ! მე კი დედამ მითხრა, რომ ამდენი წლისა ხარო, — დალიმ ოთხი თითი უჩვენა ძმას.

— ჰო, რატომ არის?! გამახსენდა, — ამბობს გია და თან ეშმაკურად იღიმება, ზაფხულში ჩვენ ბევრი მამლები გვყავდა ყვინჩილებიც ჰყიოდნენ და ადრე ათენებდნენ. ახლა ერთი მამალი გვყავს, ისიც რომ დავკლათ, სულ აღარ გათენდება.

— ჩემი ქოჩორა მამალი! იმას როგორ დავკლავთ; მერე ღამეში რა გვეშველება!

ამდროს ქოჩორა მამალმა კაკანათს გაუარა; საქათმეში მიდიოდა დასაბუდებლად. მაგრამ დაინახა თუ არა ქატო, კაკანათის ქვეშ შეჰყო თავი და კენკვა დაიწყო.

— გამოვკრა? — ამბობს გია.

— მერე ხომ მოკვდება ჩემი მამალი და აღარ გათენდება!

— კარგი, თუ გინდა კენკოს, მაგრამ ჩიტებიც აღარ მოფრინდებიან.

მამალმა სულ აკენკა ქატო, მერე გარშემო მიმოიხედა და საქათმისაკენ გაემართა.

დალიმ და გიამაც მიატოვეს კაკანათი. დედას ვახშამი მოემზადებია. სამივენი სუფრასთან დასხდნენ. ნავახშმევს გიამ წიგნის კითხვა დაიწყო, დედა წინდების ქსოვას შეუდგა. დალის კი საქმე არა აქვს. ზის დედასთან და ხელებში მისჩერებია.

— დედა, როდის მოვა ჩემი მამილო ჯარიდან? — ეკითხება შემდეგ.

— მალე, ჩემო გოგონა, მალე, როცა ოცჯერ გათენდება და დაღამდება — შენი მამიკოც ჩამოვა.

— რამდენია ოცი?

— რამდენი თითებიც გაქვს ხელფეხზე.

— ეს ხომ მალე არ იქნება, მე ბევრი თითები მაქვს?

დაღონებულია დალი.

— უკვე ძილის დროა, — ამბობს დედა და ლოგინს შლის. სამივენი წვებიან. დალი და დედა ერთად, ხოლო გია ცალკე. დალი, ცოტა არ იყოს, შეშინებულია. ამიტომ ხელი დედის მკლავისათვის ჩაუკიდებია. ჩემი მამალი რომ მოკვდეს, — ფიქრობს დალი, — მერე აღარ გა-

— ნუ სტირი შვილო, — უთხრა დედამ, — რას ამბობ, ღამეში რა გვინდა!

— მამალი მოკვდა, დალამდება და აღარც გათენდება...

— ნუ გეშინია დალი, — დაუყვავა დედამ, — აი, თინასაც ჰყავს მამალი, ის გაათენებს.

— თინას მამალი პატარაა, ის ღამეს ვერ აჯობებს...

ტირის დალი, არ ისვენებს, არც საუზმეს სჭამს.

დედა ატყობს, რომ დალისთან უბრალო დარიგებით ვერაფერს გაა-წყობს.

— დაწყნარდი, — ეუბნება ბოლოს, მე გაჩვენებ შენ ბევრ მამალს.

— სად არიან მამლები? — ეკითხება დალი და თან თვალები უბრწყინდება.

— აი, კოლექტივში! წავიდეთ, გაჩვენებ! და დედა-შვილი გზას გაუდგა.

— ხედავ, დალი, პატარა სახლებს? — ეუბნება დედა, — იქ არის კოლექტივის ქათმების ფერმა.

მალე ფერმასთანაც მიაღწიეს. უჰ, რამდენი ქათმებია აქ: თეთრი დედლები, თეთრი მამლები, თეთრი ვარიები და ყვინჩილებიც. მავთულის ბადურებით შემოღობილ ეზოში თეთრწვერა მოხუცი დადის, ქათმებს უვლის...

დალი უკვე მშვიდდება. არც სტირის და მამლების ძიძგილაობაზე ხითხითებს.

ნ. ნაბრელი

ნახატები ა. **კანდელაკისა**

თენდება — მამილო ღამეში ველარ მოგვაგნებს და სადღაც დაიკარგება.

ლამის ატირდეს დალი, მაგრამ მოულოდნელად ძილი ერევა და ყველაფერი ავიწყდება.

* * *

დილით ყველაზე ადრე დალის დედამ გაიღვიძა. ადგა, დაიწყო საოჯახო საქმეები. თეფშით სიმინდი გამოიტანა ქათმების დასაპურებლად; მაგრამ კარების გაღებისთანავე თოვლზე სისხლი შენიშნა, სისხლთან ახლოს ბუმბულიც. შეკრთა დედა. საქათმისაკენ გაიხედა, კარი ღია იყო. ცოტა მოშორებით თავწაწყვეტილი მამალი ეგდო. სჩანდა, მელა შეპარულიყო ღამით საქათმეში.

მალე დალიმაც გაიღვიძა, ჩაცმისთანავე გარეთ გახტა. მან დაინახა რომ დაღვრემილ დედას ხელში მკვდარი მამალი ეჭირა.

— ჩემი მამალი, — იყვირა დალიმ, — აწი სულ ღამეში უნდა ვიყოთ, მამილოც ველარ მოგვაგნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს დედიკოს

— რატომ გიყვარს, გოგო, ლალა,
თვალხუჭუნა დედოფალა?!
— თვალხუჭუნა რატომ მიყვარს?
რა კარგია, მოდი, ნახე!
როცა წვება, თვალებს ხუჭავს,
როცა დგება, თვალებს ახელს.
ჯუნა ჰქვია, გეტყვი სახელს!
აი, ახლა ხედავ, წვება,
თვალებს ხუჭავს... დაიძინა!..
ახლა დგება თვალებს ახელს,
გაიღვიძა, გაიცინა!..
ძლიერ მიყვარს თვალხუჭუნა,
მაგრამ დედა უფრო მიყვარს;
დედას ახლა ფეხი სტკივა,
თვალხუჭუნა მასთან მიმყავს
და ვაჩუქებ, იამება,
მოურჩება ფეხი მალე!

ჩემს დედიკოს მეც კი ვუვლი!
წყალს მოვუტან, ის კი დალევს...
ჰოდა, ამ ჩემს დედოფალას,
თვალხუჭუნას, ჩემს კარგ ჯუნას,
დედას მივცემ, იმიტომ, რომ
დედა გვივლის, ჩვენთვის ზრუნავს:
დედა ბავშვებს ტანს გვბანს მუდამ,
გვაჭმევს, გვასმევს, სუფთად გვაცმევს...
დედიკოს ჩვენ არ ვაჯავრებთ,
არც ჩემი ძმა, არც და, არც მე;
ფორთოხლებსაც კი მივუტანთ,
ჭამოს, მორჩეს, კარგად იყოს!!
ჩემს დედიკოს ვენაცვალე,
ჩემს საყვარელ, კარგ დედიკოს!

ილია სიხარულიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედის სიყვარული

ოთხი და-ძმა; გოგი, ოთარი, მარინე და ანა ფანჯარასთან იდგნენ და ეზოში იცქირებოდნენ. ოთახში მათი დედაც იყო და საქმიანობდა.

— ვიშ! — წამოიძახეს ბავშვებმა, — ბიძია მიხეილი მოდის და ალბათ, რამე მოაქვს ჩვენთვის საჩუქრად.

ბიძია მიხეილი ოთახში შემოვიდა, ბავშვებს მიუალერსა და მათ ქალალდის პარკით რაღაც საჩუქარი გადასცა.

ბავშვებმა სიხარულით ჩამოართვეს პარკი და გახსნეს. პარკში ოთხი ვაშლი იდო.

— რა კარგია! — წამოიძახა პატარა ანამ,—თითოს თითო გვერგება.

— მაგრამ დედასაც ხომ უნდა უწილადოთ! — გაახსენა ბიძამ, ბავშვები გაჩუმდნენ.

— მოდი, ერთი ვაშლი გავჭრათ! — სთქვა ბოლოს ოთარმა.

— არა, ვაშლის გაჭრა არ შეიძლება,--გააფრთხილა ბავშვები ბიძამ.

— მე ვიცი როგორ მოვიქცეთ! — წამოიძახა უცებ ჭკვიანმა მარინემ.— აქ მოიტანთ ვაშლები, მე გავანაწილებ.

მარინემ ხელში მოხერხებულად დაიჭირა ვაშლები. შემდეგ ერთი ვაშლი ძმებს გადასცა და უთხრა: — ორი ბიჭი და ერთი ვაშლი არის სამი. — ერთი ვაშლი თავისთვის აიღო და სთქვა: — ორი გოგო და ერთი ვაშლი ვიქნებით სამი. დედა კი მიიღებს ორ ვაშლს. ორი ვაშლი და ერთი დედა აგრეთვე იქნება სამი.

— კარგია, ასე სჯობს! — წამოიძახეს ბავშვებმა.

გადმოქართულებული **შ. ამირანაშვილის** მიერ
ნახატი **გ. ჩირინაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ მოკლა დათვმა თავისი ბელი

(ნამდვილი ამბავი)

ქუთაისიდან დაბრუნებულ ბიძია სიმონს შემოეხვივნენ ედიშერი, ნუნუ და რუსუდანი. ბიძია რა მოიტანე, აბა გვაჩვენე;—არ ასვენებდნენ სიმონს ბავშვები.

ყური დამიგდეთ, ერთი საინტერესო ამბავი მინდა გიამბოთ. ბავშვები დასხდნენ და სულგანაბული უსმენდნენ სიმონს.

მდინარე ოლასკურას მივუახლოვდი. წყალგაღმა დათვი დავინახე ორი პატარა ბელით. დათვი მდინარეზე გადმოსვლას აპირებდა. მინდოდა მენახა, თუ როგორ გადმოიყვანდა დათვი თავის ბელებს და შევჩერდი. დათვი არც ისე საშიში ცხოველია, მაგრამ დედა დათვი ბელებთან ერთად მეტად მძვინვარეა, და ამიტომ მეც სიფრთხილისათვის იქვე მახლობლად მაღალ ხეზე ავედი. დათვი თავის ბელებით მდინარის ნაპირს მოადგა. ოლასკურა ადიდებული იყო და დათვი ფონს ეძებდა გადმოსასვლელად. მან პირი დაავლო ერთ ბელს და წყალში შევიდა. მეორე ბელი დათვს უკან აედევნა. დათვი ისევ მობრუნდა, პირში დაკავებული ბელი დააგდო და მეორე ბელი კი შორს გადაისროლა. ცელქი ბელი მაინც არ ისვენებდა. მაშინ დათვმა ცელქ ბელს ჩაავლო პირი, ხოლო მეორე, ამოღრმავებულ ადგილზე ჩააყენა და დატოვა. პირში დაკავებული ბელით დათვი ფრთხილად მოაბიჯებდა წყალში და თხელ წყალს მოყვებოდა. ერთ ადგილას მაინც ჩაიძირა, მაგრამ უცებ გაცურა ფონამდე. წყალგაღმა გამოვიდა. ბელი ძირს დასვა და მიწის თხრა დაიწყო, შემდეგ ამოთხრილ მიწაში ჩასვა ბელი და ზედ დიდი ლოდი დააგო. იგი კვლავ გაეშურა მეორე ბელის ნაპირზე გადმოსაყვანად. ახლა ისე არ ფრთხილობდა ფონისათვის და შედარებით ჩქარა გავიდა ნაპირს. მარტოდ დატოვებული ბელი სიხარულით შეეგება დედას. დედამ პირი დაავლო და ისიც ნაპირს გადმოიყვანა, ბელს პირი გაუშვა და ლოდი გადმოაბრუნა. ბელი არ ინძრეოდა. კბილებით დასწვდა და ზევით ამოიყვანა, მაგრამ იგი უკვე მკვდარი იყო. აშკარა იყო რომ, ორმოს სიპატარავის გამო ლოდმა ის გაჭყლიტა. დათვმა ისეთი ღრიალი მორთო, რომ ძრწოლვა დამაწყებინა. ყალყზე შედგა, თავში თათებს იცემდა და საშინლად ბღაოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყნოსავდა და ეფერებოდა, ნესტოებდაბერილი, გაშმაგებული დარბოდა და დასტიროდა თავს მკვდარ ბელს. შემდეგ თანდათანობით დაწყნარდა და გააფთრებით დაიწყო მიწის თხრა. ამოთხარა დიდი ორმო და შიგ მკვდარი ბელი ჩადო, ზევიდან მიწა გადააყარა, დამარხა და თავისი ერთადერთი ბელით გაუდგა გზას.

—კი, მაგრამ, ბიძია, მერე რადა ხარ ჭირო იყო მისი ღრმად მოთხრა — ბელი ხომ მკვდარი იყო? — შეეკითხა ედიშერი.

—ამაშია სწორედ მისი უგუნურება.

ემ. გიორგაძე

ნახატები ნ. ფალავანდიშვილისა



დევიკოს ლექსი

მართლა დევი კი არა ვარ,
სახელი მაქვს ასეთი
მოწაფე ვარ, შემხედეთ,
წიგნიცა მაქვს, გაზეთიც.

მე არ მიყვარს, დედიკო
რომ დამიწყებს ფერებას,
ვაჟკაცს ენის მოქცევა
განა შეეფერება?

მე ხომ დიდი ბიჭი ვარ,
ხელში წიგნი მიჭირავს,
ვსწავლობ ანა-ბანასა
და ვახარებ მამასა!

ან. თევზაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

არითმეტიკული ამოცანა

დედამ ხუთი ქადა გამოაცხო, დაუძახა თავის ოთხ შვილს და უთხრა:

— ბავშვებო, ჩვენ ექვსნი ვართ, ოთხნი თქვენ, ორიც მე და მამათქვენი; ეს ხუთი ქადა უნდა გაგვინაწილოთ, ისე, რომ არცერთი ქადა ექვს ნაწილად არ გაიჭრას.

ბავშვებმა კარგახანს იფიქრეს და ამოცანა ჩინებულად გადასწყვიტეს.

როგორ გაანაწილეს ხუთი ქადა ექვს თანასწორ ნაწილად?

შეადგინა რ. თავდიდიშვილმა

ს ა ა თ ი

დღე-ღამის განმავლობაში რამდენჯერ დგებიან სწორ ხაზად საათის ისრები?

მ ი ხ ვ დ ი!

რომელ რიცხვშია იმდენივე ციფრი, რამდენი ასოსაგანაც შესდგება მისი სახელწოდება?

პ ა ს უ ხ ე ბ ი

1947 წ. № 1-ში მოთავსებულ გასართობზე
„გამოიცანი!“ — წიგნი. გამოცანები: 1. კალენდარი 2. ხახვი

1947 წლის № 2-ში მოთავსებულ გასართობზე
შარადა: — რუსთავი. გამოცანა: — დები.

4353

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1

ერთი კოლოფი ვიყიდე —
ხის უცნაური კოლოფი,
ლამაზ ფიცრისგან შეკრული,
შემკული თავით ბოლომდი.
დილიდან იწყებს საუბარს,
ენა აქვს, კაცს კი რა უგავს.
იცის ამბავი ქალაქის,
სოფლის, მთისა და ჭალაკის.
მაკვირვებს რომ არ იღლება,
სადა აქვს ძალა იმდენი:
ხან ლაპარაკობს ხმამაღლა,
ხან კი უკრავს და იმღერის.

2

ის ღამღამობით ანათებს,
არა ხართ მისი მნახველი?
დიდი აკაკის ერთ ლექსსაც
ჰქვია იმისი სახელი.

3

შრიალებდა ტყეში წყნარად,
არ ფიქრობდა მოსვლას ბარად.
მოიტანეს, ხერხეს, ხერხეს,
აკეთებენ სკამებს, მერხებს.
აშენებენ სახლებს, ხიდებს,
რონოდებს და გემებს კიდევ.
ახურებენ სახლში ღუმელს,
ის სჭირდება ავტოს, ურმებს,
კალმისტარს და ფანქარს თურმე.

4

ის მორცხვად დგას ყოველთვის,
მზე არის თუ ჩრდილია,
თოვლის ქვეშაც იზრდება,
თოვლის არ ეშინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ/მგ. რედაქტორი) ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.

8/435

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათუნა-პარაშუტისტი

აუვავებულა ტეემალი,
რა საამური მარტია!
უცებ, ცით ქოლგა დაეშვა,
იქნება რამე ფანდია!
იქნება გერმანელების
ქვეშქვეშა მედესანტეა?!

არა!—ჩვენს გასასარადა
აივანს მოდგა სათუნა,
დაუშვა პარაშუტითა
თვისი თოჯინა—დათუნა...
ხელებგაშლილი დათუნა
ბავშვების ცქერით გართულა.

აუვავებულა ტეემალი
ტეისპირი გადუბარდნია.
ეს მშობლიური მთა-ველი
რა კალამს დაუხატია!
რა კარგი გაზაფხულია!
რა საამური მარტია.

მურმან ლებანიძე

ნახატი. ან. კანდელაკისა

გარეკანის პირველ გვერდზე ნახატი—„მუსი კოსი“ შესრულებულია მხატვარ **შ. ცხადაძის** მიერ.

გამომცემლობა № 53 სტამბის შკ. 716 ტირაჟი 7000 უე 02513 ფასი 5 მან.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი, „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კავების მრეწვ. სამინისტროს ლიტოგრაფიაში.